

1

ჩამოთვლილთაგან, რომელი მიეკუთვნება ნივთიერებას?

- ა) ავტომობილი      ბ) ალუმინის კოვზი      გ) ოქრო  
დ) ბეჭედი      ე) წყლის წვეთი

2

წიგნი რომ გადავწომროთ, საჭიროა 210 ცალი ციფრის გამოყენება. რამდენ გვერდიანია წიგნი?

- ა) 106      ბ) 100      გ) 102      დ) 90      ე) 96

3

ჩამოთვლილთაგან, რომელია ნივთიერებათა ნარევი?

- ა) წყალი      ბ) ჰაერი      გ) ალუმინი      დ) ჟანგბადი  
ე) სპილენძი


4

დაფაზე ოთხი რიცხვია ამოწერილი. მათგან ყოველი შესაძლო სამეული შეკრიბეს და მიიღეს ჯამები: 27, 35, 37, 39. იპოვეთ ოთხივე რიცხვის ჯამი.

- ა) 40      ბ) 43      გ) 46      დ) 50  
ე) არცერთი ზემოთჩამოთვლილი პასუხი სწორი არ არის

5

სურათზე მითითებულის გარდა, კიდევ რა არის საჭირო ნათურას ასანთებად?



- ა) კიდევ ერთი ნათურა
- ბ) მხოლოდ ჩამრთველ - ამომრთველი
- გ) მხოლოდ სადენი
- დ) ზამბარა
- ე) დენის წყარო (ელემენტი)

6

მყარი სხეულებისა და სითხეების საერთო თვისებაა:

- ა) ფორმისა და მოცულობის ცვლილება;
- ბ) ფორმისა და მოცულობის შენარჩუნება;
- გ) მხოლოდ მოცულობის შენარჩუნება
- დ) ფორმის ადვილად ცვლილება;
- ე) ფორმის შენარჩუნება

7

10 პრინტერი იმდენი ღირს, რამდენიც 3 პროექტორი. 1 პროექტორი 3 პრინტერზე 170 ლარით ძვირია. რა ღირს პრინტერი?

- ა) 1700 ლ
- ბ) 510 ლ
- გ) 690 ლ
- დ) 1920 ლ
- ე) 450 ლ

8

ოთახში თერმომეტრი 25 გრადუს ცელსისუს აჩვენებს. ამ ოთახში არსებული ნივთების ჩამონათვალიდან, რომელი მასალით დამზადებული საგნის ტემპერატურა იქნება ყველაზე მაღალი?

- ა) ლითონის      ბ) ხის      გ) კერამიკის      დ) პლასტმასის  
ე) ყველა სხეულის ტემპერატურა ერთნაირია

9

თუ 12 ნათურადან თითოეულს შევკერთებთ დანარჩენ ყველასთან თითო-თითო სადენით, სულ რამდენი სადენი დაგვჭირდება?

- ა) 66      ბ) 72      გ) 78      დ) 24      ე) 48

10

გვაქვს ორი ერთნაირი ტოლგვერდა სამკუთხედი. თითოეულის პერიმეტრი 27 სმ - ია. რისი ტოლი იქნება იმ რომბის პერიმეტრი, რომელიც ამ სამკუთხედების ერთმანეთზე მიდგმით მიიღება?

- ა) 27 სმ      ბ) 18 სმ      გ) 45 სმ      დ) 30 სმ

ე) 36 სმ

11

ჩამოთვლილთაგან, რომელი აღწერს საუკეთესოდ იმას, თუ რა იცვლება როდესაც შოკოლადის ფილა დნება?

- ა) სითხე ხდება აირადი      ბ) მყარი სხეული ხდება თხევადი  
გ) მყარი სხეული ხდება აირადი      დ) სითხე ხდება მყარი სხეული  
ე) აირი ხდება სითხე


12

ერთი მორის 5 ნაწილად დახერხვას სჭირდება 16 წამი. რა დრო დასჭირდება 1 მორის 10 ნაწილად დახერხვას?

- ა) 32 წამი      ბ) 36 წამი      გ) 40 წამი      დ) 44 წამი  
ე) 20 წამი

13

რისი ტოლია სურათზე მოცემული ფიგურის პერიმეტრი?



- ა) 47 სმ      ბ) 72 სმ      გ) 69 სმ      დ) 94 სმ  
ე) 106 სმ

14

რამდენ ათეულს მივიღებთ, თუ ცხრა ასეულს დავუმატებთ ხუთ ათეულს?

- ა) 14 - ს      ბ) 59 - ს      გ) 95 - ს      დ) 905 - ს  
ე) 950 - ს

15

200 ადამიანიდან 90-ს მოსწონს ჩაის სმა, ხოლო 108-ს - ყავის.  
46 ადამიანს მოსწონს ორივე. რამდენს არ მოსწონს ამ 200 ადამიანიდან არც  
ჩაის და არც ყავის სმა?

- ა) 48      ბ) 46      გ) 44      დ) 42      ე) 40

16

ჩამოთვლილთაგან რისი ტოლია 3 ლიტრის 15%?

- ა) 150 მილი ლიტრის  
ბ) 300 მილი ლიტრის  
გ) 450 მილი ლიტრის  
დ) 600 მილი ლიტრის  
ე) 900 მილი ლიტრის

17

მასწავლებელს აქვს ოთხი სხვადასხვა წიგნი. რამდენი სხვადასხვა თანმიმდევრობით შეუძლია დააღაგოს ეს წიგნები ერთმანეთის მიყოლებით, თაროზე?

- ა) 6  
ბ) 12  
გ) 24  
დ) 16  
ე) 20

18

საერთო ბიზნესიდან მიღებული ფული ანამ, ბაკურიმ, ციალამ და დათომ გაინაწილეს, შესაბამისად, 5:2:4:3 შეფარდებით. რა თანხა შეხვდა ანას, თუ ციალას შეხვდა 1000 ლარით მეტი ვიდრე ბაკურის?

- ა) 5000 ლარი  
ბ) 3500 ლარი  
გ) 4000 ლარი  
დ) 2000 ლარი  
ე) 2500 ლარი

19

გიორგის უნდა რომ იყიდოს სათამაშო რომელიც 96 ლარი ღირს. მას უკვე აქვს 24 ლარი და ყოველდღე აპირებს კიდევ 12 ლარის შეგროვებას. ჩამოთვლილთაგან რომელი განტოლებითაა შესაძლებელი ვიპოვოთ, რამდენ დღეში დააგროვებს გიორგი საკმარის თანხას?

- ა)  $24x-12=96$   
ბ)  $12x-24=96$   
გ)  $24x+12=96$   
დ)  $12x+24=96$   
ე)  $96x+24=12$

20

ვიტრინაზე დევს 2 ერთმანეთისაგან განსხვავებული თეფში, 6 ერთმანეთისაგან განსხვავებული ფინჯანი და 7 ერთმანეთისაგან განსხვავებული კოვზი. რამდენნაირად შეიძლება შევარჩიოთ თეფში ფინჯნით და კოვზით?

ა) 15

ბ) 12

გ) 14

დ) 26

ე) 84

21

გამოხდილი წყლის მისაღებად მას ჯერ ადულებენ, შემდეგ კი მიღებულ ორთქლს აცივებენ (ამ დროს ხდება ორთქლის კვლავ სითხედ გადაქცევა). გამოხდილ წყალს, სასმელ წყალთან შედარებით არ აქვს გემო. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მიზეზი იწვევს განსხვავებას გემოებს შორის?

ა) ის, რომ წყალი დუღდება 100 გრადუს ცელსიუსზე

ბ) ის, რომ წყალი ასეთ ტემპერატურამდე გაცხელებისას ფართოვდება

გ) ის, რომ ტემპერატურის გავლენით არ იცვლება წყლის მასა

დ) ის, რომ წყალში შემავალი მინერალები წყლის ადულებისას არ ორთქლდება

ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი

22

მზიან ამინდში ხის ჩრდილთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელია სწორი?

ა) ჩრდილის ზომები დღის განმავლობაში არ იცვლება

ბ) ჩრდილი ყველაზე მოკლეა, როდესაც მზე ხის თავზეა

გ) ჩრდილი ყველაზე მოკლეა, როდესაც მზე ამოდის და ყველაზე გრძელია, როდესაც მზე ჩადის

დ) ჩრდილი ყველაზე გრძელია, როცა მზე ამოდის და ყველაზე მოკლეა, როცა მზე ჩადის

ე) ჩრდილი ყველაზე გრძელია, როდესაც მზე ხის თავზეა

23

ჩამოთვლილი რიცხვებიდან რისი ტოლი შეიძლება იყოს გასაყოფის, გამყოფისა და განყოფის ნამრავლი, თუ ყოველი მათგანი ნატურალური რიცხვია?

- ა) 13                      ბ) 18                      გ) 48                      დ) 36                      ე) 56

24

რამდენჯერ გაიზრდება ორნიშნა რიცხვი, თუ მას მარჯვნიდან იმავე რიცხვს მივუწერთ?

- ა) 101 - ჯერ              ბ) 2 - ჯერ              გ) 1001 - ჯერ              დ) 12 - ჯერ  
ე) 100 ჯერ

25

ერთ მწკრივად დარგეს 25 ხე, ერთმანეთისაგან თანაბარი დაშორებით. შედეგად, მწკრივის სიგრძე 120 მეტრი გამოვიდა. რა მანძილია მეზობელ ხეებს შორის?

- ა) 4,8 მ                      ბ) 8 მ                      გ) 4 მ                      დ) 15 მ                      ე) 5 მ

26

გვაქვს ბერკეტეანი სასწორი, დიდი რაოდენობის ბრინჯი და ორი საწონი გირა, მასებით 1 კგ და 3 კგ. რა მასის ბრინჯის აწონვაა შესაძლებელი კილოგრამების სიზუსტით, თუ აწონვების რაოდენობაში შეზღუდული არ ვართ?

- ა) მხოლოდ 1 ან 3 კგ ბრინჯის  
ბ) მხოლოდ 1 კგ, 3 კგ და 4 კგ ბრინჯის  
გ) მხოლოდ 1 კგ, 2 კგ, 3 კგ და 4 კგ ბრინჯის  
დ) მხოლოდ 1 კგ - დან 10 კგ მდე ნებისმიერი მასის ბრინჯის  
ე) ნებისმიერი მასის ბრინჯის, ვიდრე ასაწონი ბრინჯი არ გამოილევა

27

ორი ავტომობილი მოძრაობს წრფივ გზატკეცილზე ერთი მიმართულებით, ერთმანეთის ტოლი 25 მ/წმ სიჩქარით. ავტომობილებს შორის 100 მეტრია. გზატკეცილის ბოლოს იწყება დაზიანებული გზა, რომელზეც, თითოეული ავტომობილი, გადასვლის შემდეგ სიჩქარეს 15 მ/წმ - მდე ამცირებს. რისი ტოლი გახდება ავტომობილებს შორის მანძილი, როდესაც ორივე ავტომობილი გადავა დაზიანებულ მონაკვეთზე?

- ა) კვლავ 100 მეტრი იქნება      ბ) 50 მეტრი      გ) 60 მეტრი      დ) 80 მეტრი  
ე) 10 მეტრი

28

ლამურა მიფრინავს უძრავი კედლისკენ, მის მართობულად და უშვებს ბგერას, რომელიც კედლიდან ირეკლება და უბრუნდება მას, გაშვებიდან 2 წამში. ბგერის მიღების მომენტში ლამურა კედლიდან 300 მ - ითაა დაშორებული. რა მანძილზე იყო ლამურა კედლიდან დაშორებული ბგერის გაშვების მომენტში? ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰაერში 340 მ/წმ - ია.

- ა) 480 მ      ბ) 380 მ      გ) 680 მ      დ) 340 მ      ე) 170 მ

29

მხოლოდ 5 ლიტრიანი და 3 ლიტრიანი ჭურჭლებით, რომლებსაც დანაყოფები არ აქვთ, როგორ ავავსოთ ონკანიდან ზუსტად 1 ლიტრი წყალი?

ა) ავავსოთ 3 ლიტრიანი და გადავასხათ 5 - იანში, კიდევ ავავსოთ 3 ლიტრიანი და კიდევ გადავასხათ 5 - იანში. შედეგად, 3 ლიტრიანში დაგვრჩება 1 ლ.

ბ) ავავსოთ 5 ლიტრიანი და გადავასხათ 3 - იანში. შედეგად 5 ლიტრიანში დაგვრჩება 1 ლ.

გ) ავავსოთ 3 ლიტრიანი და გადავასხათ 5 ლიტრიანში. შედეგად, 5 ლიტრიანში მივიღებთ 1 ლ - ს.

დ) ავავსოთ 5 ლიტრიანი და გადავღვაროთ 4 ლიტრი. შედეგად მივიღებთ 1 ლ - ს.

ე) ამ მოცემულობით შეუძლებელია 1 ლ წყლის მიღება.

30

ორი მონადირე, რომელთა შორის მანძილი 200 მ - ია, მირბიან ერთმანეთისკენ თითოეული 5 მ/წმ სიჩქარით. ამ მომენტიდან ერთ - ერთი



მონადირის ძალის გაქცა მეორე მონადირესთან, შემდეგ კვლავ მიიღბინა პირველთან, შემდეგ კვლავ მეორესთან და ასე დარბოდა, ვიდრე მონადირეები ერთმანეთს შეხვდნენ. რა მანძილი გაიარა ძალმა თუ იგი 8 მ/წმ სიჩქარით დარბოდა?

ა) 600 მ

ბ) 300 მ

გ) 160 მ

დ) 200 მ

ე) 450 მ